ა) შესყიდვის ან გაყიდვის არასამართლიანი ფასების ან სხვა არასამართლიანი სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენა;

ბ) წარმოების, ბაზრების ან ტექნოლოგიური განვითარების მომხმარებელთა ინტერესების საზიანოდ შეზღუდვა;

გ) გარკვეული სავაჭრო პარტნიორებისთვის იდენტურ ტრანზაქციებზე დისკრიმინაციული პირობების დაწესება, რითაც ხდება მათი არაკონკურენტულ მდგომარეობაში ჩაყენება;

დ) ხელშეკრულების წინაპირობად გარიგების იმგვარი პირობის დაწესება, რომელიც გარიგების მეორე მხარეს ისეთ დამატებით ვალდებულებას აკისრებს, რომელიც დაკავშირებული არ არის გარიგების საგანთან, და სხვა“.

რა სახის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს კანონმდებლობა დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისათვის?

კონკურენციის კანონის 33-ე მუხლის თანახმად: დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შემთხვევაში კანონის დამრღვევ პირს (გარდა ეკონომიკის რეგულირებადი სფეროს ეკონომიკური აგენტებისა) დაეკისრება ჯარიმა, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში მისი წლიური ბრუნვის 5 პროცენტს.

დარღვევის სამართლებრივი საფუძვლის აღმოუფხვრელობის ან განმეორების შემთხვევაში, საგენტო უფლებამოსილია ეკონომიკურ აგენტს დააკისროს ჯარიმა, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში მისი წლიური ბრუნვის 10 პროცენტს (ჯარიმის ოდენობის დადგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს დარღვევის შედეგად დამდგარი ზიანი, დარღვევის ხანგრძლივობა და სიმძიმე).

გარდა ამისა, სააგენტო უფლებამოსილია დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ საქართველოს კანონმდებლობის არაერთგზის დარღვევისას, შესაბამისი ორგანოების წინაშე დასვას მისი იძულებითი დაყოფის საკითხი, თუ არსებობს საწარმოს ორგანიზაციული და ტერიტორიული განცალკევების შესაძლებლობა, ან განახორციელოს კონკურენციის პოლიტიკით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებები.

ბროშურა მომზადებულია ევროკავშირი—საქართველოს ბიზნესსაბჭოს (EUGBC) მიერ ევროკავშირის მხარდაჭერით.

პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ

პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია ევროკავშირი—საქართველოს ბიზნესსაბჭო და მასში გამოთქმული მოსაზრებები არ უნდა იქნეს მიჩნეული ევროკავშირის პოზიციად.

ევროკავშირი—საქართველოს ბიზნესსაბჭო
ზანდუკელის ქ. 3, თბილისი 0108 საქართველო
Tel: (+995 32) 2.24.21.14 / 15 / 16
info@eugbc.net / www.eugbc.net

EU-GEORGIA
BUSINESS COUNCIL

დომინირებული მდგომარეობა და მისი ბოროტად გამოყენების ფორმები

ქეთევან ლაფაჩი

ეკონომიკურ თეორიასა და პრაქტიკაში გავრცელებული მოსაზრებებით, ეკონომიკური აგენტი ითვლება დომინირებული მდგომარეობის მქონედ, თუ მას შეუძლია ბაზარზე ზემოქმედება კონკურენტებისაგან დამოუკიდებლად. ცნობილია კოლექტიური დომინირების ცნებაც.

კონტროლის განხორციელება დომინირებული მდგომარეობის მქონე ფირმების საქმიანობაზე, მათ მიერ მდგომარეობის შესაძლო ბოროტად გამოყენების თავიდან აცილებისა და აღკვეთის მიზნით ანტიმონოპოლიური რეგულირების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა.

კონკურენციის კანონებით (მათ შორის, UNCTAD-ის და WB-OECD მოდელური კანონებითაც) იკრძალება არა დომინირებული მდგომარეობა (მონოპოლიური მდგომარეობა და დომინირებული მდგომარეობა ხშირად ერთი და იმავე მნიშვნელობით გამოიყენება), არამედ მისი ბოროტად გამოყენება.

დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გავრცელებული ფორმებია:

- მტაცებლური, ანუ თვითღირებულებაზე დაბალი ფასის დაწესება ბაზრიდან კონკურენტის გაძევების მიზნით;
- დისკრიმინაციული ფასის ან ვაჭრობის განსხვავებული პირობების გამოყენება;
- გადასაყიდი (ხელახლა გასაყიდი) ფასების დადგენა;
- გარიგებაზე დაუსაბუთებელი უარი;
- გაყიდვები დამატებითი/თავსმოხვეული პირობების შეთავაზებით და სხვა.

ქვეყნების უმრავლესობის კანონებში ეს ჩამონათვალი ამომწურავი არ არის. ანალოგიური მიდგომაა მსოფლიო ბანკის მოდელურ კანონშიც და მის მიერ საქართველოს კანონთან დაკავშირებულ რეკომენდაციებშიც.

საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენების პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია ლიბერალიზებულ ინფრასტრუქტურულ სექტორებში, სადაც მარეგულირებელი მოდელისა და რიგი დარგობრივი პარამეტრების გაუმჯობესების მიუხედავად აქტუალურია საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენების პრობლემა ბაზარზე დამკვიდრებული (ან ახალი და ჯერჯერობით უალტერნატივო) კომპანიების მიერ, რაც გამოიხატება ისეთ ქმედებებში, როგორიცაა: ა) ბაზარზე დომინირებული კომპანიის მფლობელობაში არსებულ ქსელებთან დაშვების გართულება, ბ) ჯვარედინი სუბსიდირება და მომხმარებლის ერთი კატეგორიის ხარჯების მეორე კატეგორიის მომხმარებლისათვის დაკისრება, გ) კონტრაგენტების არათანაბარ პირობებში ჩაყენება, დ) მომხმარებლის არჩევანის ხელოვნული შეზღუდვა, ე) ფასით დისკრიმინაცია და სხვ., შედარებით ახალი მოვლენაა კონკურენტების ე.წ. „მარჟით განდევნა“.

ითვალისწინებს თუ არა საქართველოს კანონმდებლობა კონკურენციის შესახებ დომინანტი კომპანიების ქცევის კონტროლს?

საერთაშორისო პრაქტიკის ანალოგიურად საქართველოს კანონის ერთერთი ძირითადი მიზანია დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების დაუშვებლობა. შესაბამისად, კანონი შეიცავს როგორც დომინირების განმსაზღვრელ კრიტერიუმებს, ასევე ჩამონათვალს იმ ქმედებებისა, რომლებიც კვალიფიცირდება, როგორც მდგომარეობის ბოროტად გამოყენება.

საქართველოს კანონით კონკურენციის შესახებ დომინირებული მდგომარეობა განისაზღვრება, როგორც: შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტის/აგენტების ისეთი მდგომარეობა, რომელიც მას/მათ საშუალებას აძლევს, იმოქმედოს/იმოქმედონ კონკურენტი ეკონომიკური აგენტების, მიმწოდებლების, კლიენტებისა და საბოლოო მომხმარებლებისაგან დამოუკიდებლად, არსებითი გავლენა მოახდინოს/მოახდინონ ბაზარზე საქონლის მიმოქცევის საერთო პირობებზე და შეზღუდოს/შეზღუდონ კონკურენცია.

თუ სხვა მტკიცებულებები არ არსებობს, ეკონომიკური აგენტი/აგენტები არ ჩაითვლება / ჩაითვლებიან დომინირებული მდგომარეობის მქონედ, თუ შესაბამის ბაზარზე მისი/მათი წილი 40 პროცენტს არ აღემატება. ორი ან მეტი ეკონომიკური აგენტიდან თითოეული ჩაითვლება დომინირებული მდგომარეობის მქონედ, თუ ის არ განიცდის მნიშვნელოვან კონკურენციას სხვა ეკონომიკური აგენტებისაგან მათი ნედლეულის წყაროებსა და გასაღების ბაზრებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობის, ბაზარზე შესვლის ბარიერებისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით და იმავდროულად:

არაუმეტეს 3 ეკონომიკური აგენტის ერთობლივი წილი 50 პროცენტს აღემატება, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი არანაკლებ 15 პროცენტია;

არაუმეტეს 5 ყველაზე მნიშვნელოვანი წილის მქონე ეკონომიკური აგენტის ერთობლივი წილი 80 პროცენტს აღემატება, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი არანაკლებ 15 პროცენტია.

რა კრიტერიუმებით დგინდება ეკონომიკური აგენტის დომინირებული მდგომარეობა შესაბამის ბაზარზე?

ეკონომიკური აგენტის დომინირებული მდგომარეობა განისაზღვრება შესაბამის ბაზარზე მისი საბაზრო წილის, კონკურენტი ეკონომიკური აგენტების ფინანსური მდგომარეობის, ბაზარზე შესვლის ან წარმოების გაფართოების ბარიერების, მყიდველის საბაზრო ძალაუფლების, ნედლეულის წყაროების ხელმისაწვდომობის, ვერტიკალური ინტეგრაციის ხარისხის, ქსელური ეფექტებისა და საბაზრო ძალაუფლების განმსაზღვრელი სხვა ფაქტორების გათვალისწინებით.

როგორ განისაზღვრება ეკონომიკური აგენტის საბაზრო წილი?

შესაბამის ბაზარზე ეკონომიკური აგენტის საბაზრო წილი განისაზღვრება ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების გამოყენებით, რომელიც დამტკიცებულია სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის №30-09/3 ბრძანებით.

რა ეკრძალებათ დომინირებული მდგომარეობის მქონე კომპანიებს?

საქართველოს კანონი კონკურენციის შესახებ, საერთაშორისო პრაქტიკის ანალოგიურად, კრძალავს არა მდგომარეობას არამედ მის ბოროტად გამოყენებას. კანონის მიხედვით (მუხლი 6. დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება):

„1. ერთი ან რამდენიმე (ჯგუფური დომინირების შემთხვევაში) ეკონომიკური აგენტის მიერ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება დაუშვებელია.

2. დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი ქმედებები: